ჟურნალის სპეციალური ნომრის მკითხველებისთვის!

უკრაინაში მიმდინარე ომი კაცობრიობისთვის პლანეტარული საფრთხეა - გლობალური ინტერესების მიერ პროვოცირებულ ამ დაუნდობელ დაპირისპირებასა და ტვინამღვრეული გუნდის თუ პარანოიით შეპყრობილი რამდენიმე კაცის დაუოკებელ ამბიციებს ათასობით ადამიანის ღვთითბოძებული სიცოცხლე ეწირება.

ომით გამოწვეული უკუჩვენებები დედამიწის თითქმის ყოველ მოსახლეს შეეხო - გაჩანაგდა ეკონომიკა, გაძვირდა ცხოვრება; დაზარალებულთა რიცხვი ყოველწუთს იზრდება...

უკვე მერვე თვე მიდის და ომი კვლავ გრძელდება, თუმცა ახლა უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლების პერსპექტივა გამოჩნდა. **მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობა რუსეთის აგრესიას უპირისპირდება, უკრაინას მხარდაჭერას უცხადებენ, იარაღსა და ჰუმანიტარულ ტვირთებს აწვდიან, მათ გვერდით მოხალისეებიც იბრძვიან.**

ყველა უკრაინის გამარჯვებას გულშემატკივრობს!.

ტყვიით მოსულ ამ სისასტიკეს, ადამიანთა ხოცვას არანაირი გამართლება არ გააჩნია.

უკრაინელი ხალხი როცა იბრძვის, ანთებულია, სიცოცხლეს სწირავს და თავის საცხოვრისს, დამოუკიდებლობას, ქვეყანას იცავს - ეს, რა თქმა უნდა, მაღალი ზნეობაა! ეს ხალხი პატივისცემას, თანადგომას, ყველაზე უფაქიზეს მოპყრობას იმსახურებს.

უკრაინასა და ბევრ მის გულშევატკივარ ქვეყანაში დღეს - **Слава Україні! Героям Слава!** - მისალმების ფორმად იქცა. ეს საერთო განწყობა აგრესიის უთუო დასასრულს მოასწავებს.

ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ომი უნდა შეწყდეს! ყველაფერი, ყველა რესურსი, საერთო განწყობა მხოლოდ აქეთკენ უნდა იყოს მომართული.

ომი უდანაშაულო ადამიანთა ღია სასაკლაოა, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია!

ამ სამკვდრო-სასიცოცხლო და პლანეტარული საფრთხის მიმართ მსოფლიო ცივილურ საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ უკრაინის ტერიტორიაზე დღეს ახალი მსოფლიო წესრიგი იწრთობა და ისინი უკრაინელი ხალხის მხარეს დგანან.

დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის ბრძოლას, ყველა ხერხით და ფორმით, ყოველთვის აქვს აზრი. მაგრამ უკეთესია ეს არასისხლისღვრით, არაიარაღითა და ადამიანური მსხვერპლის გარეშე ხდებოდეს. ყველა პრობლემა ქვეყნებს, ხალხებს და ადამიანებს შორის მხოლოდ მოლაპარაკებებით უნდა წყდებოდეს.

უიარაღო ბრძოლა უფრო რთულია, გონიერებას, კაცთმოყვარეობას, გამოცდილებას, წინგახედულობას საჭიროებს.

ომის მსხვერპლთ, უმოწყალოდ დახოცილებს, უგუნურობასა და აგრესიას ზვარაკად შეწირულებს სიცოცხლეს ვერავინ დაუბრუნებს. მაგრამ მათი თავგანწირვა უკეთეს მომავალს მოუტანს მსოფლიოს და მათ ხსოვნას კაცობრიობა სანთლებს აუნთებს.

ქვეყნების მმართველობის სულისკვეთება უნდა შეიცვალოს, უპირატესად, ადამიანის და მაშასადამე, პლანეტის მდგრად, ჰარმონიულ განვითარებას მსახურობდეს. ყველა ქვეყნის ხელისუფლის უპირველესი დანიშნულება ის არის, რომ მოსახლეობა უნდა განარიდოს ჭირსა და უბედურებას, მათი კეთილდღეობისთვის იღვაწოს, სიცოცხლის გადასარჩენად იზრუნოს!

პლანეტის მომავალი გონივრულ ორიენტაციაზეა დამოკიდებული.

ჩვენ გულრწფელად გვინდა უკრაინაში ომი არ იყოს, არ კლავდნენ ბავშვებს, მოხუცებს, საერთოდ, არ გვინდა დაპირისპირება და სისხლისღვრა - ეყოფა კაცობრიობას, რაც მსხვერპლი გაიღო!

ჩვენ უკრაინაში მშვიდობა გვსურს, უკრაინელების ოჯახებში სიყვარულის დაბრუნება გვინდა. ტყვიით მოსული სისასტიკის მოშუშებაში დახმარებას ვაპირებთ.

ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, ომის ტკივილი კარგად ვიცით - რუსეთთან ურიერთობის ყველაზე ხანგრძლივი და მწარე გამოცდილება ჩვენ სხვაზე ადრე გვერგო - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხომ ამ სისასტიკის მსხვერპლი და ნანგრევებიდან აღმართული მემატიანეა.

ამიტომაც გაცნობიერებულად მოვუწოდებთ ყველას, ვისაც კი ომის მსვლელობაზე გავლენის მოხდენა შეუძლია, **ომის შეწყვეტას უშუამდგომლოს!**

ჩვენ უკრაინელი ხალხის გვერდით ვდგავართ!

ჩვენმა ამ საერთო განწყობამ და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ **ირმა დიხამინჯიას** ინიციატივამ, რომ გამოგვეხატა უკრაინელი ხალხის, უწინარესად კი ჩვენი კოლეგების მიმართ თანადგომა, ერთ-ერი სახით ასეთი განვითარება მიიღო:

ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ რედაქციამ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება, უკრაინაში მომდინარე ომსა და მასთან დაკავშირებულ თემატიკისთვის დაგვეთმო **ერთი მთლიანი სპეციალური ნომერი.** ამით, უკრაინელი და ქართველი კოლეგებისთვის მიგვეცა შესაძლებლობა შეუზღუდავად გამოეხატათ თავიანთი პოზიცია მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და ხელი შეგვეწყო მათ მეცნიერულ პროდუქტს **Google scholar**-ის საძიებო სისტემაში უდიდესი ინტელექტუალური აუდიტორიის ყურადღება მიეპყრო.

ამ ინიციატივას აქტიურად გამოეხმაურნენ უკრაინელი და ქართველი ცნობილი მეცნიერები და საზოდადო მოღვაწეები. ყველა სტატია, პირდაპირ თუ ირიბად, უკრაინას, საერთო ტკივილსა და მიმდინარე ომის შედეგებს უკავშირდება.

გთავაზობთ მათ მოსაზრებებსა და წინადადებებს.

ჟურნალში ავტორები, გარდა შესავალი გვერდისა, დალაგებულია ალფავიტის მიხედვით - ჯერ უკრაინელი კოლეგებია წარმოდგენილი, შემდეგ - ქართველი ავტორები. მათგან რომელიმეს გამორჩევა ცენზის, აქტუალობის ან სხვა ნიშნის მიხედვით არ გაგვიკეთებია - ყველას თანაბარი სტატუსი მიეკუთვნა.

ჟურნალის რედაქცია მადლობას უხდის ყველა ავტორს და გამოთქვამს მზადყოფნას, შემდგომაც განაგრძოს ნაყოფიერი თანამშრომლობა.

მშვიდობა უკრაინას! მშვიდობა მსოფლიოს! ხალხს კეთილდღეობა სჭირდება!

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ რედაქცია



FOR READERS OF THE SPECIAL ISSUE OF THE MAGAZINE!

The ongoing war in Ukraine is a planetary threat to humanity - this merciless conflict provoked by global interests and the insatiable ambitions of a brainwashed team or a few paranoid men are sacrificing thousands of God-given lives.

The adversities caused by the war touched almost every inhabitant of the earth - the economy collapsed, life became more expensive; The number of victims is increasing every minute...

Eight months have passed and the war is still going on, although now the prospect of liberating the occupied territories of Ukraine has appeared. **Most of the countries of the world oppose Russia's aggression, support Ukraine, provide weapons and humanitarian goods, and volunteers are also fighting alongside them.**

Everyone is cheering for the victory of Ukraine!

There is no justification for this brutality of killing people with a bullet.

When the Ukrainian people fight, are inflamed, sacrifice their lives and defend their livelihood, independence, country - this is, of course, high morality! These people deserve respect, support, and the most warm treatment.

To Ukraine and many of its fans today - **Слава Україні! Glory to heroes!** - has become a form of greeting. This common mood will surely lead to the end of aggression.

Everyone must realize that the war must stop! Everything, all resources, general mood should be directed only here.

War is an open slaughterhouse of innocent people, a crime against humanity!

In relation to this life-threatening and planetary threat, the world civil society is aware that the new world order is working on the territory of Ukraine today, and they stand by Ukrainian people's side.

Fighting for independence, for freedom, in all ways and forms, always makes sense. But it is better to do it without bloodshed, without weapons and without human sacrifice. All problems between countries, peoples and people should be solved only through negotiations.

The unarmed fight is more difficult, it requires wisdom, humanity, experience, foresight.

No one can bring back the lives of the victims of war, those who were mercilessly killed, those who sacrificed themselves to recklessness and aggression. But their sacrifice will bring a better future to the world and in their memory humanity will light candles.

The spirit of governance of countries should be changed, primarily to serve the sustainable, harmonious development of man and, therefore, the planet. The primary purpose of the government of every country is that the population should avoid plagues and misfortunes, work for their well-being, and take care to save their lives!

The future of the planet depends on a reasonable orientation.

We wholeheartedly want no war in Ukraine, no killing of children, old people, in general, we do not want conflict and bloodshed - it is the humanity that has sacrificed!

We want peace in Ukraine, we want to return love to the families of Ukrainians. We are going to help heal the cruelty caused by bullets.

Due to historical fate, we know well the pain of war - the longest and bitterest experience of disunity with Russia happened to us earlier than others - Sukhumi State University is a victim of this cruelty and a chronicler raised from the ruins.

That is why we consciously call on everyone who can influence the course of the war to stop **the war immediately!**

We stand by the Ukrainian people!

This common mood of ours and the initiative of the Dean of the Faculty of Business and Social Sciences of Sukhumi State University, Professor **Irma Dikhaminjia**, to show support to the Ukrainian people, and first of all to our colleagues, took the following form:

The editors of "Business and Legislation" magazine together with the Faculty of Business and Social Sciences of Sukhumi State University decided to dedicate **one whole special number** to the war in Ukraine and related topics. In this way, we gave our Ukrainian and Georgian colleagues the opportunity to freely express their position on current events and help their scientific product to attract the attention of the largest intellectual audience in the **Google scholar** search engine.

Famous Ukrainian and Georgian scientists and public figures actively responded to this initiative. All articles, directly or indirectly, are related to Ukraine, the common pain and the consequences of the current war.

We offer their opinions and suggestions.

Authors in the magazine, except for the introductory page, are arranged alphabetically - Ukrainian colleagues are presented first, then - Georgian authors. We did not single out any of them according to censorship, actuality or any other sign - everyone was given equal status.

The editorial board of the magazine thanks all the authors and expresses readiness to continue fruitful cooperation.

Peace in Ukraine! Peace to the world! People need prosperity!

SOKHUMI STATE UNIVERSITY OF BUSINESS AND FACULTY OF SOCIAL SCIENCES EDITOR OF "BUSINESS AND LEGISLATION" MAGAZINE